ოქმი:**ო08. 3723355001**
თარიღი:**21/12/2023**

ოქმი № 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 20 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
15.00 -16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი

კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. კილაძე, ალ. ღლონტი, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ლ. კილაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ მასში გათვალისწინებულია ის შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოთქმული იქნა განხილვის პროცესში, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა პ. ჭყონია განაცხადა, რომ ბიუჯეტი დაიგეგმა 37,750 ათასი ლარით, კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო ის ცვლილებები, რომლებიც შევიდა კორექტირებულ პროექტში მთლიანად, შედეგ კი ისაუბრა იმ შენიშვნებზე, რომლებიც კომისიას გააჩნდა ბიუჯეტის პროექტის მიმართ. პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა

კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ბიგვავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ დადგენილებით განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების გაშენების წესები, სახეობები, ადგილები და ა.შ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი